პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
სამშაბათი
11 აგვისტო
№ 184 (18126)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

რჩევისათვის ადამიანებთან

ილრე რაიმე დიდმნიშვნელოვან, საგირბოროტო საკითხზე გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ხშირად ამბობდა ხოლმე ვ. ი. ლენინი, მუშებს უნდა მოვეთათბიროთო. და იგი ეთათბირებოდა მუშებს, გლეხებს, წითელარმიელებს, მეცნიერებს, კიდევ და კიდევ ამოწმებდა თავის აზრებს, ეწაფებოდა ხალხის სიბრძნეს ახალი ამოცანებისადმი ყველაზე ზუსტი მიდგომისათვის.

ჩვენი პარტია ლენინური ტრადიციების ერთგულია. მშრომელთა მრავალმილიონიან მასებთან განუყრელად დაკავშირებული პარტია თავის ყოველდღიურ მუშაობაში ეყრდნობა მათს უმდიდრეს გამოცდილებას, მიმართავს მათ რჩევისათვის, ყურადღებით ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ფართო გაჯანება შეიძინა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტის განხილვამ. ხალხთან პარტიის ამ საქმიანობა ბეჭდავს მნიშვნელოვნად გაამდიდრა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ყოველი პარტიული გადაწყვეტილება კოლექტიური აზრის ნაყოფია. იხილება იგი ბიუროს სხდომაზე თუ პლენუმზე, პარტიული აქტივის კრებაზე თუ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, მაგრამ მუდამ თავმოყრილია ბევრი ადამიანის გამოცდილება, თვალსაზრისია მრავალფეროვნება. და არა მარტო კომუნისტების. ბოძავენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაგალითს, ადგილობრივი პარტიული კომიტეტები გადაწყვეტილებათა შემუშავებისას ცდილობენ რაც შეიძლება ფართოდ დაადგინონ და გაითვალისწინონ საზოგადოებრივი აზრი.

ამას წინათ, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების მიხედვით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები. ცენტრალურმა კომიტეტმა წინასწარ გააცნო მოსახლეობას ადგილობრივი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით პლენუმის დღის წესრიგი და მისი მოწვევის თარიღი და რესპუბლიკის მშრომელებს ხოსოვა გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი დასახულ ამოცანათა რაც შეიძლება ეფექტიანი და სწრაფი რეალიზაციის გზების შესახებ. ხუთი ათასზე მეტი წერილი — აი როგორი იყო პასუხი. ამასთან სპეციალურ ბროშურად გამოცემული ყველა ეს წინადადება ფართოდ გამოიყენეს პლენუმზე, გაითვალისწინეს დადგენილებასა და ღონისძიებათა შეშუშავებულ გეგმაში.

სულ უფრო განამტკიცებს რა კავშირს მასებთან, პარტია ამასვე ასახავს ორიენტირად თითოეულ თავის კომიტეტს, ამასვე მოითხოვს ყველა სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან. აქ იყენებენ სულ სხვადასხვაგვარ გზებსა და მეთოდებს. მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ხელმძღვანელი პირადად ხვდებოდეს მშრომელებს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას.

ПРАВДА
10 აგვისტოს მოწოდებავ

უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა ამ მუშაობის სრულყოფისათვის. ბევრ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში რეგულარულად მართება ერთიანი პოლიტდღეები, საინფორმაციო შეხვედრები, კითხვა-პასუხის საღამოები. არსებითად ეს არის არა მარტო ხელმძღვანელთა უბრალო გამოსვლები მშრომელთა წინაშე, არამედ დიალოგი მათ შორის. თითოეული მსმენელს შეუძლია დასვას ნებისმიერი კითხვა, რომელიც მას აინტერესებს, გამოთქვას თავისი აზრი ამის თაობაზე. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ ადამიანთა განწყობილება, გავითვალისწინოთ მათი წინადადებანი და ბურვილები ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში.

„მეტად საინტერესოდ, მაგრამ რაც მთავარია საქმისათვის დიდი სარგებლიანობით იმართება ჩვენს საერთო საცხოვრებლებში შეხვედრები მთავარი სამმართველოს უფროსთან გ. კაზუნინთან. პარტიკომის მდივანთან ა. ტურჩევთან და სხვა ხელმძღვანელებთან, — წერენ რედაქციას მთავარორენბურგმშენის მუშები. — ჩვენ არა მარტო ვიგებთ ჩვენი ადმინისტრაციის, პარტიული კომიტეტის საქმეებსა და გეგმებს, არამედ გვაქვს შესაძლებლობა აზრი გავუზიაროთ იმაზე, რაც ჩვენ გვაწუხებს. მაგალითად, როგორ გამოვიყენოთ უფრო კარგად სამუშაო დრო, როგორ მოვაწყოთ დასვენება, ნაზოგადოებრივი კვება ობიექტებზე, გავაძლიეროთ ახალგაზრდა სპეციალისტებზე ზრუნვა. ჩვენულებრივ ჩვენი გამონათქვამების მიხედვით იღებენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რაც განსაკუთრებით გვახარებს“.

როგორც მასებთან პარტიის ცოცხალი კავშირის არხს, აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა წერილებს. ადამიანები გულღიად მიმართავენ პარტიულ და სხვა ხელმძღვანელ ორგანოებს საზოგადოებრივი ცხოვრების, შრომისა და ყოფის საარსებო საკითხების გამო, გულახდილად უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებსა და საზრუნავს, აკრიტიკებენ არსებულ ნაკლოვანებებს. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღებით ვეკითხებოდეთ თითოეულ წერილს, დროულად ვეხმაურებოდეთ მათ. ამას კვლავ შეგვახსენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მშრომელთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა დიდი, მრავალმხრივი მუშაობაა. უკანასკნელ ხანს, მაგალითად, სულ უფრო ფართოდ ვიყენებთ კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს. იქ, სადაც ეს გამოკვლევები წარმოებს მეცნიერულ საფუძველზე, სადაც მათი შედეგები საქმის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, ასეთ გამოკვლევებს დიდი სარგებლობა მოაქვს. მაგრამ ასეც ხდება: ცოტა მუშაობა როდია გაწეული, ძალ-ღონე და დროც ბევრი დაიხარჯა, შეკრებილ მასალას კი კარგად ვერ იყენებენ.

ფორმისათვის კი არა, საქმისათვის არის საჭირო აქტიურად მივმართავდეთ მშრომელთა აზრებსა და განწყობილებებს, განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ვითვალისწინებდეთ მათს აზრს საკადრო საკითხების განხილვის დროს. ეხება საქმე მუშაკის დაწინაურებას თუ მისი შრომის შეფასებას, სასჯელს ან თანამდებობიდან განთავისუფლებას, საჭიროა ვეთათბირებოდეთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, კოლექტივს, სადაც განსაკუთრებით კარგად იცნობენ ხელმძღვანელს. მაგრამ მასებს ყოველთვის როდი ეთათბირებიან, ამის შედეგად არის შეცდომები, რომლებიც ზიანს აყენებს საქმეს.

მორდვეთის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე მოიყვანეს, მაგალითად, ასეთი ფაქტი. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში დიდი ნაკლოვანებებისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბორტად გამოაყენებისა და ზნეობრივი უწმინდურობისათვის პარტიის ატიაშევსკ რაიკომის ბიურომ მკაცრად დასაჯა კოლმეურნეობა „ოსკრას“ თავმჯდომარე ზელენოვი. იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და ხახელგატეხილი მუშაკი დანიშნეს „მორდვეთსოფლენერგოს“ მმართველის მოადგილედ, მეურნეობის მთელი კოლექტივის აზრის საწინააღმდეგოდ, სადაც მიაჩნდათ და მიაჩნიათ, რომ ასეთ ადამიანს უფლება არა აქვს იყოს ხელმძღვანელი. ვინ გადაწყვიტა თავისებურად ეს საკითხი? ავტომობილური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. ულეგზომა, თუმცა, იგი მოკმედებდა პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ნ. გავაევის თანხმობით.

ვიყოთ უფრო ახლოს ადამიანებთან, მათ ყოველდღიურ საქმეებთან და საზრუნავთან, უფრო მეტად ვეთათბირებოდეთ მშრომელებს სულ სხვადასხვა პრობლემაზე, რომლებსაც ცხოვრება გვიყენებს, — ეს მარტო ხურვილი კი არა, მოთხოვნაც არის თითოეული პარტიული კომიტეტისადმი, თითოეული ხელმძღვანელისადმი. და ამ მოთხოვნას ისინი უნდა ახრულებდნენ მუდამ და ყველაფერში.

საქმეს გამოაჩინა

თიბვა — სწრაფი ტემპით

ბოგდანოვკა. რაიონის მეურნეობებმა უკვე დააგროვეს საკვების ნახევარი წლის მარაგი. აქ შექმნილია 27 საკვებდამამზადებელი ბრიგადა, რომელთაგან თითოეული მუდამ გადაჭარბებით ასრულებს დღიურ ნორმას. მთლიანად მეურნეობებში საკვების დამზადების ტემპი ერთიორად აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ტემპს. ბოგდანოვკელებმა უკვე ჩადეს 27 ათასი ტონა სენაჟი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 30 ათასი ტონა. კარგად მიდის თივისა და სილოსის დამზადების საქმეც. სეზონის დამლევამდე საკვებდამამზადებელი დამატებითი რეზერვების გამოყენებით აპირებენ მოიმარაგონ 97 ათასი ტონა.

მთიბავთა სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობენ სოფლების დიდი არაქალის, თორიას, ჯიგრაშენდის, გონდრიოს, სპასოვკის კოლმეურნეობების მექანიზატორები.

შრომობენ დამკვრელურად

არასტანდარტული მოწყობილობის და ტექნოლოგიური აღჭურვილობის სპეციალიზებული საცდელ-ექსპერიმენტული ქარხანა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოა. მრავალფეროვანია მისი პროდუქცია. აქ მზადდება სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული ხუთი, ათი და ოცდახუთტონიანი ლითონის ჭურჭელი, ხუთკუბიანი რეზერვუარები თხევადი გაზისათვის, ბოსტნეულსაცავების კონტეინერები, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

დიდ ნათელ დარბაზში განლაგებულია საექსპერიმენტო საამქრო. აქ ორგანიზაციების საგანგებო შეკვეთებით მზადდება რთული შტამპები და წნეხფორმები. ახლა ამ საწარმოს პროდუქციას ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იცნობენ. ამ ცოტა ხნის წინათ განხორციელდა საწარმოს რეკონსტრუქცია, კაპიტალურად გარდაქმნა ძირითადი — ასაწყობ-შესადუღი საამქრო, ბევრი პროცესი ამიერიდან მექანიზებული იქნება.

საწარმოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის გეგმა. ახლა ქარხანაში ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების შესრულებისათვის. ბევრმა მუშაკმა ვალდებულება იკისრა 7 ნოემბრამდე მოათავოს ჯირადი წლიური დავალებანი.

სურათებზე: საექსპერიმენტო საამქროს მოწინავე მუშები — ხარატი ა. ჭუბრიაშვილი (მარცხნივ) და მხეხავი გ. ციმაკურიძე; მიმდინარეობს ლითონის ავზის შედუღება; ასაწყობ-შესადუღი საამქროს შემდუღებლები (მარცხნივ) მ. ტერზიკიანი, დ. თრუკაშვილი და გ. ჭავჭავაძე. მათ ვალდებულება იკისრეს ნოემბრისათვის შეასრულონ პირადი წლიური დავალებანი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

დამატებითი საკვები

დანინი. რაიონის მექანიზატორებმა ვადამდე შეასრულეს ზოგიერთი სახეობის საკვების დამზადების წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 18 ათასი ტონის ნაცვლად ჩადებულია 20.296 ტონა სენაჟი. გეგმის გადამეტებით დამზადებულია 3.216 ტონა სილოსი. 500 ჰექტარ ფართობზე დმანისელებმა დათესეს სანაწვერალო კულტურები. როგორც გაითვალისწინეს, ეს დამატებით ათას ტონა საკვებს მისცემს მათ.

კარგად ასრულებენ დავალებებს ვაკის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებდამამზადებლები, რომლებმაც გეგმით გათვალისწინებული 1.580 ტონის ნაცვლად 2.073 ტონა სილოსი დაამზადეს. გეგმის გადაჭარბებით ჩადებულია სენაჟიც. ვაკის მშრომელებს არ ჩამორჩებიან არც ეგრისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის მშრომელები.

(საქინფორმი).

ინფორმაციას გვაწვდის მინისტრი

მასწავლებლის კვალიფიკაცია სისტემა, ბაზა, გრდა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შექმნილია და მოქმედებს პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გაგაზრებული სისტემა. საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამის შესახებ გვიამბობს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. დ. ქინქლაძე.

მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაცია — ეს, არსებითად, გახლავთ მოსწავლეთა სწავლების ხარისხი, რომლის ამაღლების საჭიროება გარკვეით მიგვითითეს სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ.

სამი წლის წინათ სამინისტრომ განაახლა და განამტკიცა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და შეუდგა პედაგოგიური კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის საფუძვლიან გარდაქმნას.

დავიწყეთ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის განმტკიცებით. მოკლე ხანში მთლიანად შეიცვალა სახე ცენტრალური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსმა, კეთილმოეწყო კურსების მსმენელთა საერთო საცხოვრებელი, ამუშავდა ახალი, კარგად აღჭურვილი კაბინეტები და ლაბორატორები, შეიქმნა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ქართული, ავრეთვე რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკური, ქიმიურ-ბიოლოგიური და საზოგადოებრივი დისციპლინების მეთოდიკისა და სწავლების კათედრები, რამაც ძნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკურსო ღონისძიებების სამეცნიერო-პედაგოგიური დონის ამაღლებას; აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალსართულიანი, სასტუმროს ტიპის კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლები სოხუმის, ბათუმისა და ჭუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ზონალურ ინსტიტუტებში. მთავრდება მშენებლობა ცხინვალში. და ბოლოს, გაიხსნა ახალი ზონალური ინსტიტუტები თელავსა და ზუგდიდში. ამრიგად, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს ემსახურება რვა ინსტიტუტი, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენს მოთხოვნილებებს და კურსების ნორმალურ მუშაობას. მალე შევუდგებით 18 სამაზო საშუალო სკოლის მშენებლობას თბილისში, ხოლო ვარდაბნის რაიონის კუშნისის საშუალო სკოლის ტერიტორიაზე იქმნება სასწავლო ბაზა შრომითი სწავლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ხასამაღლებლად.

ბუნებრივია, ყოველივე ამან ხელი შეუწყო როგორც საკურსო ღონისძიებათა ხარისხისა და შინაარსის გაუჯობესებას, ისე იმ მასწავლებელთა რიცხვის ზრდას, რომლებიც გადამზადებას გადიან, ავრეთვე გადამზადებათაშორისი პერიოდის შემცირებას. მაგალითად, თუ 1975 წელს საკურსო ღონისძიებებით მოცული იყო დაახლოებით 9 ათასი მასწავლებელი და სახალხო განათლების სხვა მუშაკი, უკვე 1980 წელს მათი რიცხვი 17 ათასამდე გაიზარდა. და ეს მარტო ზრდის რაოდენობრივი მაჩვენებელი როდია. თუ წინათ მასწავლებელს კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სამუშაოდ თერთმეტ წელიწადში ერთხელ ვიწვევდით, ახლა იგი გადამზადებას გადის ხუთნახევარ წელიწადში ერთხელ. მომავალში ეს პერიოდი სამ-ოთხ წლამდე შემცირდება.

სამინისტროსთან შექმნილია გამოთვლითი ცენტრი, რომლის დახმარებით იგეგმება გადასამზადებელი მასწავლებლების შერჩევა, ზუსტდება კონკრეტული პროგრამები.

ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია სადიდაქტივო ორგანოების დადგენილებამ რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების, ღონისძიებათა შესახებ. მისი მეოხებით გადავწყვიტეთ მასწავლებელთა კადრების გადამზადების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული გადაუდებელი ამოცანები, ჩამოთვლილი კათედრების გარდა, ცენტრალურ ინსტიტუტში მუშაობს სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება, რომელსაც აქვს სამრავლებელი ტექნიკა, გაუმჯობესდა მეთოდიკური წერილების, ნამუშევრების, რეკომენდაციებისა და მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სხვა ლიტერატურის გამოცემა. გამოიცემა აგრეთვე თვითგანათლების სანიმუშო გეგმები, მეთოდიკური ჟურნალების სტატიების თემატური მაჩვენებელი. ამას ემსახურება ტელეგადაცემები ქართული ლიტერატურის, რუსული ენის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ხაზვის მასწავლებლებისათვის. თემა — „მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და თვითგანათლების სისტემა“ — მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის წამყვანი თემაა.

გულდასმით ვმუშაობთ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის ტიპობრივი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფაზე. საკურსო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ვიწვევთ მეცნიერებს. მთელ რიგ, ჯერჯერობით ჩვენთვის უჩვეულო სპეციალობებში, მაგალითად, ფსიქოლოგებს, რაც, უდავოდ, ხელს უწყობს მასწავლებელთა გადამზადების შინაარსის გამდიდრებასა და ხარისხის გაუჯობესებას. სულ უფრო ხშირად და ფართოდ სწავლების სიტყვიერ, ვერბალურ მეთოდებს ვამატებთ პრაქტიკულ მეცადინეობებს, ამასთან ვამცირებთ მიმოხილვითი, თეორიული ხასიათის, მეცნიერულ-პედაგოგიური ლექციების რაოდენობას.

სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის მუდმივ ზრდასთან დაკავშირებით უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის, აღზრდის მთელი საქმისადმი კომპლექსური მიდგომის პრობლემებს, ამასთან მხედველობაში გვაქვს იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობის უზრუნველყოფა. (საქინფორმი).

სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

ლიახვის ხეობის ერთ-ერთ უძველეს სოფელში, კეხვში კოლმეურნეთა ორსართულიანი, კოხტად გამართული სახლების გვერდით ერთი ძველი, უსახური სკოლა იდგა. როცა აქ ახალი სამსართულიანი სასკოლო შენობის აგება გადაწყდა, კეხველებმა ისე გაიხარეს, რომ შარშანწინ საძირკვლის ჩაყრაზე მთელი სოფელი გამოვიდა. ამ სოფელში კალატოზიც ბევრია და ხუროც, ასე რომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 24 მოძრავი მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელობას ასეთი ოსტატები საძებარი არ ჰყავდა.

მშენებლობა ისეთი ენთუზიაზმით დაიწყო, რომ ფიქრობდნენ, 1980 წლის სექტემბრის ზარი ახალ შენობაში დაირეკებაო, მაგრამ თანდათან მშენებლობის ტემპი მინელდა, მერე კი, სამშენებლო მასალების უქონლობის გამო, სულაც შეჩერდა. შარშან ზაფხულში საკედლე ბლოკები არა ჰქონდათ და იმიტომ იდგნენ, ამ ზამთარ-გაზაფხულზე კი თაბაშირი ვერ მიიღეს. სამუშაოთა მწარმოებელს, ახალგაზრდა ინჟინერ ირაკლი ხეთერელს უდარდელობას ვერაკვნ დასწამებს, ძალიან ცდილობს, რომ ობიექტი დროულად და ხარისხიანად ჩააბაროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელს არ უწყობენ. 20 ივლისს მშენებლობის სახახავად რომ მივედი, იგი შუადღემდე არ გამოჩენილა — სურამში წასულიყო კედლების მოსაპირკეთებელი სპეციალური ქვიშისთვის. ათიოდე კაცი კი, თითქოს გასაკეთებელი არაფერი ყოფილიყო, ტყუილად კლავდა დროს.

— რატომ არ მუშაობთ? — ვეკითხები მათ.

— გვეყო, რაც ვიმუშავეთ, დღეში 6-7 მანეთს გვიხდიან და... ხუთ 20-30 მანეთს იღებს, ჩვენ კი აქ უსაქმოდ ვცდებით, — ამბობს ფ. ჯაბიევი.

— მერე, რატომ ცდებით? სამუშაო ნარდად აიღეთ, ზლობინის მეთოდით იმუშავეთ, მალეც მოიმოუტანიათ, რომ ბეტონის კედლები რამდენიმე ადგილას გაიბზარეთოს და მილები საქვაბეს შეუერთონ! სულ სამიოდე დღის სამუშაოღა დარჩა, ნეტავ როდის აღირსებენ კომპრესორს?

— უქმად ყოფნა ძნელია, იძულებულს გვხდიან სხვა ობიექტზე წავიდეთ სამუშაოდ, — ამბობს მემონტაჟე ვ. თედეევი.

პირველ და მეორე სართულზე ბეტონის მოზაიკური ფილებია დასაგები. მღებავები სამუშაოს ვერ იწყებენ, რადგან ფანჯრებს რაფები აკლია. ძალზე უხარისხოა კარ-ფანჯრები. მშენებლობაზე რომ მოაქვთ. არც ერთი რიგიანად არ იღება და იხურება.

— ყველა საკუთარი ხელით შეკეთებული, — ამბობს მფთმატიკის მასწავლებელი გიდეონ ადუაშვილი. იგი ხელმარჯვე კაცია და ყველა საქმეს დიდი გულმოდგინებით აკეთებს.

— იატაკი რატომ არის უსწორმასწოროდ დაგებული? — ვეკითხები.

კეხვში გარი დაირეკება?

— მასალა უხარისხოა, ღარები სწორად არ არის ამოღებული და ფიცრები ერთმანეთს ძნელად ესადგება.

არც ნალესია ხარისხიანი. კედლები ბევრგან დახეთქილია. გაჭირდება ასეთი კედლების შეღებვა. სამზარეულოსა და სასადილოში კაფელი აცამბაცად არის გაკრული, არ ეტყობა ოსტატის ხელი. აქ იატაკიც დასაგებია, კედლები — შესალეს-შესაღება, სანტექნიკური მოწყობილობა დასადგმელია. არც ვენტილაცია დაუმონტაჟებიათ. „სპორტდარბაზის იატაკი — 250 კვადრატული მეტრი — მოსაბეტონებელია, მაგრამ მუშახელი არ ჰყოფნით. დარბაზი რბილად უნდა დადაიხუროს, მაგრამ არა აქვთ ასფალტი. ელექტროკოსკიც არ დაუმონტაჟებიათ და ტრანსფორმატორები გარეთ, ცისქვეშ ყრია.

ასე, რომ გასაკეთებელი ძალიან ბევრია. უამრავი „კუდი“, ალბათ, მერეც გამოჩნდება. დრო კი ცოტა დარჩა, ძალზე საეჭვოა, რომ სკოლა პირველი სექტემბრისათვის მოესწროს.

ნეტავ, ძველი სკოლა მაინც არ დაენგრევინებინათ, — ვაითუ, სწავლა შეგვიფერხდესო, — ეულავს სკოლის დირექტორი კ. მელანაშვილი. — 30 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ინვენტარი შემოვზიდეთ, სად წავიღოთ? ადგილიც არა გვაქვსო...

გეგმით ახალი სკოლის შენობა წელს მეორე კვარტალში უნდა ჩაბარებულიყო, აქ კი ჯერ კიდევ 40 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოებია შესასრულებელი. ასეთი ტემპით, ცხადია, ახალ სკოლაში პირველი სექტემბრის ზარი ვერ დაირეკება.

სად ისწავლონ კეხველმა ბავშვებმა?

ამაზე, ალბათ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის ხელმძღვანელობა მოგვწერს პასუხს.

ბ. თედეევი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ვალე რთველი დაიწყება

მეევნახეს ყველაფერი დასძლია

რთველის დაწყებამდე თვეზე ცოტა მეტი დრო დარჩა. მევენახეთა გზა სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი კამპანიისაკენ იოლი როდია. თითქოს ყველაფერი ვენახის წინააღმდეგ იყო: გაჭიანურებული გაზაფხულიც, გადაუღებელი წვიმებიც, ვენახების დაავადებებს გავრცელებაც. მევენახეები მედგრად დადგნენ მოსავლის დასაცავად. პარტიულმა, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ოპერატიული ღონისძიებები განახორციელეს ზვრების გადასარჩენად, დანაკარგების შესამცირებლად. დღეისათვის მდგომარეობა მთლიანად სტაბილიზებულია, მოსავლის პროგნოზები საამდოა. მაგრამ ახლანდელ, არაჩვეულებრივ ვითარებაში შრომითი ვახტი გრძელდება. მშრომელებს ერთი ამოცანა აქვთ — ყოველგვარი პირობები შექმნან უურძნის დამწიფებისათვის, მოსავლის ახალ ეტაპზე კონვეიერის — პლატაცია-ტრანსპორტი-ქარხანა — გამართული მუშაობისათვის.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან მიღებული კორესპონდენციების შენარჩევში ლაპარაკია მევენახეთა დღევანდელ საზრუნავზე.

ც. კუჭუაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საგარეჯოს რაიონის ძანავის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი:

— **ბრიგადაზე**, რომელსაც ვხელმძღვანელობ, გაპიროვნებულია 45 ჰექტარი ზვარი. ვალდებულება ვიკისრეთ თითოეულ ჰექტარზე 75 ცენტნერი ყურძენი მოვკიფოთ. შეგახსენებთ, რომ მეათე ხუთწლედში ჰექტარზე 61 ცენტნერი მოსავალი მივიღეთ.

ყოველგვარი პირობა გვაქვს იმისათვის, რომ გათვალისწინებულს მივაღწიოთ. ჩვენი ბრიგადის წევრები მუშაობაში ძალღონეს არ იშურებენ. მტკიცედ ვიცავთ ვაზის მოვლის წესებს, საკუთარი ინიციატივით რვაჯერ შევასხურეთ შაბიამანი (ყოველი წვიმის შემდეგ, რათა აღგვედგინა ბმამქმიკატების მოქმედება), მაშინ, როდესაც წესით გათვალისწინებულია ყოველი შეწამვლის შემდეგ ათი დღე მოვიცადოთ.

ახლა მთელი ყურადღება ზვრების მორწყვაზე ვადავიტანეთ.

პ. წაქაძე,
ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

— **სოფლად** ყველა სამუშაო მნიშვნელოვანია. მაგრამ, განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს ვენახი. რა გავაკეთეთ იმისათვის, რომ უამინდობას მოსავალი არ წაეხდინა? სამჯერ ჩავატარეთ მწკრივთშორისების კულტივაცია, გულმოდგინედ დავამუშავეთ შაბიამანით, რაღა თავიდან აგვეცილებინა დაავადებები. დიდი ყურადღება დავუთმეთ სარველებთან ბრძოლას. ისინი ყოველი წვიმის შემდეგ სოკოსავით ჩრდილოეთ იზრდებიან. ახლა მთელი ჩვენი 130 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი სარეველებისაგან გაწმენდილია. მოვაწყვეთ ზვრების მდგომარეობის დათვალიერება.

უყურადღებოდ არც საკარმიდამო ნაკვეთები მივიტოვებია. ის ჩვენი მოსავლის შევსების მნიშვნელოვანი რეზერვია. კოლმეურნეობის მიერ საკარმიდამო მეურნეობებისათვის გაწეული დახმარება დროული გამოდგა. და აი შედეგიც: მათი უმეტესობა უხვ მოსავალს გვპირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გეგმის დამატებით მეურნეობა 1500 ტონა ყურძენს მიიღებს. ეს მოსავლის დიდი დანამატია.

ა. ბოქოლიშვილი,
ხიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგროგანყოფილების ხელმძღვანელი:

— **დასასრულს** უახლოვდება მწვანე ოპერაციები ჩვენი კოლმეურნეობის ზვრებში. ახლა უკვე რთვლის სტრატეგიაზე ვფიქრობთ. შევმჭეთით მოსავლის ამღები რაზმები და რგოლები, რომლებიც გავამსჯავლეთ ამ დროს სხვა სამუშაოებისაგან თავისუფალი სოფლის მშრომელებისა და მოსწავლეთა ხარჯზე. შარშან დიდი დახმარება გაგვიწია მართვის ავტომატიზებულმა სისტემამ. ამ სეზონშიც ჩვენს რაიონში იმუშავებს ყურძნის კრეფის პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემა. ეს კი გარანტიას გვაძლევს გამართულად იმუშაოს კოსვეიერმა ზვარი-ტრანსპორტი-ქარხანა.

უამინდობით გამოწვეული გარკვეული დანაკარგების მიუხედავად გამოვძებნეთ რეზერვები და საშუალებები რათა ავანაზღაუროთ ისინი შრომის მაღალი ორგანიზაციის მეოხებით. ვალდებულება ვიკისრეთ გეგმით გათვალისწინებული 1800 ტონის ნაცვლად მოვკრიფოთ სულ ცოტა 2100 ტონა რქაწითელისა და საფერავის ჯიშის ყურძენი.

შ. ხონელიძე,
ვანის რაიონის სოფელ ბზვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:

— **ჯერ** კიდევ კარგად გვახსოვს მიმდინარე წლის მოსავლისათვის ბრძოლის პერიპეტიები. ადრე გაზაფხულზე, როცა მკვეთრად აცივდა და ზვრებს კოკისპირულმა წვიმებმა დასცხო, ავეგონა ვერ შევძლებდით მოსავლის შენარჩუნებას. მაგრამ მოვუარეთ, მოვიყვანეთ, შევინარჩუნეთ და თანაც როგორი მოსავალი. გეგმით გათვალისწინებული 448 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდით 600 ტონა ყურძენს.

გაზაფხულზე, როცა ვენახს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, გავაძლიერეთ ვაზის მოვლა-პატრონობა. დახმარებისთვის მეცნიერებსაც მივმართეთ. ახლა ჩვენი ზვრები ავ თვალს არ დაენახვება. (საქინფორმი).

მშენებელთა დღესასწაული

ემატებოდეს სართულს სართული...

ამ დღეებში მშენებლის დღესთან დაკავშირებით თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა.

მომხსენებელმა, რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარემ გ. მირიანაშვილმა მოპოვებულ წარმატებებთან ერთად აუარადღება დაუთმო აგრეთვე მშენებელთა ამოცანებს, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ფათი აღმოფხვრის გზებს. წლის დამლევამდე დარ

პარტიული ცხოვრება:

საქალაქო კომიტეტი და ინფორმაციის ფყარეები

მეტს შეიტყობ — უკეთ განსაზღვრავ

იმ დღისაც მოისმინეს ერთი თვის მანძილზე ქალაქში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები. აღინიშნა, რომ შრომითმა კოლექტივებმა კარგად გაართვეს თავი მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შვიდი თვის დავალებათა შესრულებას. წარმოების მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,5 პროცენტით გაიზარდა, გამოშვებულია 8 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი...

ინფორმაცია, რასაკვირველია, ამით არ ამოწურულა. ითქვა ისიც, თუ რა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს ცალკეულ ხელმძღვანელ რგოლებში, რა გადაწყვეტილებები მიიღეს, როგორია საერთო ოპერატიული მდგომარეობა. აქვე გაეცნენ ამოცანებს, რომლებიც მომავალ თვეში უნდა გადაწყვიტონ ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ამგვარი ოპერატიული თათბირები ქ. ქუთაისში ყოველი თვის პირველ ორშაბათს ეწყობა. მას ესწრებიან პარტიის-ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნები, განყოფილებათა გამგეები, პარტიის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი, ქალაქის ადმინისტრაციული და სახალხო კონტროლის ორგანოთა ხელმძღვანელები, საქალაქო გაზეთების და რადიომაუწყებლობის რედაქტორები, რესპუბლიკური გაზეთების კორესპონდენტები.

თათბირზე სხვა პრობლემებთან ერთად მოსმენილ იქნა ინფორმაციაში, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტის აღმასრულებელი და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილებამ და სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ წარმოადგინეს, აღნიშნული იყო ის ფინანსური სიძნელეები, რომლებიც ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკაში დღემდე არსებობს. ამასთან ითქვა ისიც, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ 1978 წლიდან მოყოლებული დღემდე ვერ იქნა და ვერ გადაწყდა. კომბინატის საწყობებშია დიდძალი ჩაწოლილი, ძნელადსარეალიზაციო, მიმღები ორგანიზაციებიდან რამდენჯერმე დაბრუნებული მზა პროდუქცია.

ინფორმაციაში, რომელიც სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობას შეეხებოდა, აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ, მართალია, სტატისტიკა უმჯობესდება, მაგრამ ტრავმატიზმის შემთხვევები და ამით გამოწვეული მოცდენები ჯერ კიდევ ბევრია.

შემდგომ შეკრების მონაწილეები ერთმანეთს აცნობენ დაშატებითს საკითხებს, გამოთქვამენ აზრს, აზუსტებენ ვითარებას. შეკრების ვადა მკაცრად არის რეგლამენტირებული, იგი ორ საათს არ აღემატება.

ქალაქში შექმნილ მდგომარეობაზე დაზუსტებული ინფორმაცია პარტიის რაიონული კომიტეტების მეშვეობით იმავე დღეს გადაეცემა რაიონულ რგოლებს, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების საშუალებით — ადგილობრივ ორგანიზაციებს. უკვე 16 საათზე თათბირები გადაიხავლებს საამქრო პარტიულ ორგანიზაციებში, ხოლო ერთი საათის შემდეგ — პარტიულ ჯგუფებში. ასე რომ, ერთი დღის მანძილზე დილადან საღამომდე ქალაქის მთელი პარტიული ორგანიზაცია, მისი აქტივი, საბჭოთა და სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ხელმძღვანელები თანამიმდევრობით არიან ინფორმირებული პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ერთად ამ ინფორმაციებზე. ეს ერთგვარი ინფორმაციული ბანკია, ინფორმაციის ბიღი, ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის სისტემის სრულყოფის საფუძველზე სახალხო მეურნეობაში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მართვის შემდგომი გაუმჯობესება. ამ დროს ინფორმაციის ბიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა პერფობარათები დამუშავების ეგრეთ წოდებული კოდური სისტემით, რაც ძირითადად ხელის შრომას ეყრდნობოდა. აქტიურად ამოქმედდა პერფობარათები: „ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა“, „იდეოლოგიური მუშაობა“, „მშრომელთა წერილები და განცხადებები“, „კადრების კართოტეკა“, „საქალაქო კომიტეტის დადგენილებები“. დარგების მიხედვით შეიქმნა პარტიულ ორგანიზაციათა პასპორტები, ქალაქის ყველა პირველადი პარტიულ ორგანიზაციაში კრებებსა და სხვა ღონისძიებებზე კონტროლისათვის გამოყენებული იყო მაგნიტური დაფები.

საინფორმაციო სექტორის არსებობის მეორე ეტაპი დაიწყო მას შემდეგ, რაც ქალაქი დაიყო რაიონებად — ესე იგი, 1978 წლიდან. ამ დროისათვის უკვე წინა პლანზე დადგა საქალაქო და რაიონული ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის კოორდინაციის საკითხი, ხელახლა განაწილდა ფუნქციები პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საინფორმაციო სექტორებს. ერთიანი ინფორმირების ოპერატიული სისტემის სრულყოფა. ახალი ვითარებიდან გამომდინარე განისაზღვრა ახალი ამოცანებიც. კერძოდ, სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდის პერსპექტივების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით პარტიულ საქმიანობაში მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა.

და მართლაც, ახლა ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა საინფორმაციო სექტორი პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან 1973 წლიდან ფუნქციონირებს. პირველ ეტაპზე მისი შექმნის ძირითადი მიზანი იყო პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება. როგორც იტყვიან, ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ ინფორმაციების სისტემატური მიწოდების პრაქტიკის დამკვიდრება, ინფორმაციის ბიღების, დამუშავებისა და შენახვის სისტემის სრულყოფის საფუძველზე სახალხო მეურნეობაში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მართვის შემდგომი გაუმჯობესება. ამ დროს ინფორმაციის ბიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა პერფობარათები დამუშავების ეგრეთ წოდებული კოდური სისტემით, რაც ძირითადად ხელის შრომას ეყრდნობოდა. აქტიურად ამოქმედდა პერფობარათები: „ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა“, „იდეოლოგიური მუშაობა“, „მშრომელთა წერილები და განცხადებები“, „კადრების კართოტეკა“, „საქალაქო კომიტეტის დადგენილებები“. დარგების მიხედვით შეიქმნა პარტიულ ორგანიზაციათა პასპორტები, ქალაქის ყველა პირველადი პარტიულ ორგანიზაციაში კრებებსა და სხვა ღონისძიებებზე კონტროლისათვის გამოყენებული იყო მაგნიტური დაფები.

საინფორმაციო სექტორის არსებობის მეორე ეტაპი დაიწყო მას შემდეგ, რაც ქალაქი დაიყო რაიონებად — ესე იგი, 1978 წლიდან. ამ დროისათვის უკვე წინა პლანზე დადგა საქალაქო და რაიონული ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის კოორდინაციის საკითხი, ხელახლა განაწილდა ფუნქციები პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საინფორმაციო სექტორებს. ერთიანი ინფორმირების ოპერატიული სისტემის სრულყოფა. ახალი ვითარებიდან გამომდინარე განისაზღვრა ახალი ამოცანებიც. კერძოდ, სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდის პერსპექტივების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით პარტიულ საქმიანობაში მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა.

ეს მართლაც, ახლა ქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთი ნაწილში ნაყოფიერად ინერგება მართვის ავტომატიზებული სისტემები. ამ მხრივ ერთგვარი დადებითი გამოცდილება დაგროვდა ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანასა და ნ. მუსელიანის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ფუნქციონირებს ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ბაზაზე შექმნილი გამოთვლითი ცენტრები. ასეთ მანქანებს იყენებს აგრეთვე სტატისტიკური სამმართველო.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მომუშავე ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები. უკვე დამუშავდა და პრაქტიკულად მოქმედებს რამდენიმე პროგრამა, ერთ-ერთი ასეთი პროგრამა დამუშავდა ადრე კოდური სისტემით მოქმედ ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობის აღრიცხვისა და ანალიზის სისტემასთან დაკავშირებით. იგი საშუალებას იძლევა მანქანიდან მივიღოთ პარტიულ ორგანიზაციებში გამართული პარტიული კრებების მუშაობის ანალიზი. ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის მგმოთვლითს ცენტრთან ერთად მუშავდება რამდენიმე პროგრამა, ეერძოდ, კონტროლის სისტემა, კადრების რეზერვების აღრიცხვის სისტემა და იდეოლოგიური საქმიანობის აღრიცხვისა და მართვის სისტემა. დღეისათვის საინფორმაციო ცენტრში გამოყენებულია ისეთი ტექნიკური საშუალებანი, როგორიც არის ტელეტაიპი, ლენტური პერფორატორი, სატელეფონო მოწყობილობა „კრისტალ-70“, ინფორმაციის შენახვისა და მოძებნის მოწყობილობა. პარტიის საქალაქო კომიტეტის მაგალითისამებრ ინფორმაციის სექტორი მოეწყო სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რომელიც აქტიურად მუშაობს.

კიდევ ერთი სიახლე. წლეულს 30 იანვარს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე სექტორი და შეიმუშავა ამ სექტორის დებულება, რომელშიც აღინიშნულია, რომ მისი შექმნის მიზანია დაეხმაროს ქალაქის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს აქმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებების სწორად გამოყენებაში. პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობის გააქტიურებაში, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში და სხვ. საინფორმაციო სექტორთან ერთად, იგი უზრუნველყოფს „საინფორმაციო ბიულეტენებში“ მოცემულ მასალებზე საქალაქო კომიტეტის მდივნების მიერ გაკეთებული რეზოლუციებით განსაზღვრული დავალებების შესრულებას და, რაც მთავარია, გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეიმუშავა და გამოსცა ეგრეთ წოდებული „პრეს-ინფორმაცია“. აქ წარმოდგენილია ყველა ის შენიშვნა და წინადადება, რომლებიც გამოითქვა საქალაქო პარტიული კონფერენციის მზადების პროგრამის შესაბამისად ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მეთოდკაბინეტების მიხედვით მოწყობილ პრაქტიკულ კონფერენციებზე, — „სრულვყოთ კადრების კომპეტენტურობისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმები და მეთოდები, მივაღწიოთ კადრების შერჩევისა და განაწილების პროცესის დემოკრატიზაციას“, აგრეთვე ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც გამოითქვა კონფერენციის დელეგატებთან მოწყობილ შეხვედრებსა და თვით XXXIII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. საინფორმაციო სექტორი თვალყურს ადევნებს ამ წინადადებების რეალიზაციას, ინფორმაციას აწვდის პარტიულ ორგანიზაციებს, მშრომელებს ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ამ მიმართულებით გახორციელებულ ღონისძიებებზე.

სრულყოფილი ინფორმაციის სიკეთეში ‘ უკვე დარწმუნდნენ ქუთაისნი. ის წარმატებები, რომლებიც აქაურმა მშრომელებმა მოიპოვეს ცხოვრების სხვადასხვა უბანზე, ის ამოცანები, რომლებსაც ასე თამამად ისახავენ მომავლისათვის, იმის ლოგიკური შედეგიც არის, რომ აქ გაბედულად, ფართოდ ინერგება ინფორმაციის უახლესი ფორმები და მეთოდები.

დიახ, რაც მეტს შეიტყობ, გასაკეთებელსაც უკეთ განსაზღვრავ.

დ. გედენიძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

რენე ანდრიე თბილისში

გაზეთ „პრესა-ინფორმაციის“ ინფორმაციით, ფრანგ ჟურნალისტ-ფილოსოფოსს ორი დღით ესტუმრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „ლუმანიტეს“ მთავარი რედაქტორი ამბ. რენე ანდრიე მეუღლითურთ.

სტუმრებმა დათვალიერეს თბილისში ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მუზეუმებში, ეწვივნენ გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეს. მათ თან ახლდნენ გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი საქართველოში გ. ლებანიძე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე გ. ბედინეიშვილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი ი. ანდრიაძე. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საპატიო ფურცელი სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მრეწველობის განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. სიმონ სვეკრიანეს ძე **ლორთქიფანიძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ კონსტანტინეს ძე **ბურკაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ტუკვის შემცველი მასალისაგან შეკერილი ქალის ლაბადებსა და ჯინსის შარვლებს ალბათ ვერ მივაკუთვნებთ გაუსავლიანი საქონლის რიცხვს. მათზე გადიდებული მოთხოვნაა და შესაბამისად ნაკადური გამოშვებაც ხანგრძლივია. წარმოება რენტაბელურია, მკაცრი კომისიები ხალისით ანიჭებენ ასეთ პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანს. თითქოს, საწარმოსათვის მატერიალურადაც და მორალურადაც ხელსაყრელი სპეციალ ხუთკუთხედის მიღების შემდეგ ყოველმხრივ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ამ ნაწარმის ხარისხი მუდამ სტაბილურად მაღალი იყოს.

ხოლო, როცა პროდუქციას არამეკენ ხარისხის ნიშანს — არადა სწორედ ასე მოუვიდა ზემოთ დასახელებულ ნაწარმს — ეს მუდამ საგანგებო შემთხვევაა. ასეთი საგანგებო შემთხვევა რესპუბლიკაში წლის პირველ ნახევარში მხოლოდ ორჯერ მოხდა, და ორივეჯერ ერთსა და იმავე საწარმოში — ქუთაისის კიროვის სახელობის ბამბეულეულის საწარმოო გაერთიანებაში.

ქუთაისის გაერთიანება ერთადერთი როდია იმ საწარმოთა სიაში, სადაც ფაქტობრივად უგულებელყოფენ პროდუქციის მაღალი ხარისხის მოთხოვნებს.

მიმდინარე წლის ექვსი თვეში რესპუბლიკის მრეწველობამ მთლიანად ვერ შეასრულა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გადიდებული დავალებანი და სახელმწიფოს დააკლო 215 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ეს ნაწარმი. უნდა აღინიშნოს, რომ მეტად არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს ივნისში რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. დავალებით გათვალისწინებული ორმოცდაათი მილიონი მანეთის პროდუქციის ნაცვლად ამ საწარმოებმა გამოუშვეს 28 მილიონი მანეთის ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქცია, თუმცა წინა თვეების მაჩვენებელი 41 მილიონ მანეთს უდრიდა. მნიშვნელოვნად შეამცირეს ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობა თბილისის ელმავალსაშენებელმა საწარმოო გაერთიანებამ, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ, ფოთის ჰიდროშემქანიზაციის ქარხანამ, ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაწარმის ქარხანამ.

უწინარეს ყოვლისა, ეს იმიტომ მოხდა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები უპასუხისგებლოდ მოეკიდნენ დაკისრებული დავალების რეალიზაციას. იმის ნაცვლად, რომ შეენარჩუნებინათ შარშანდელი ტემპი, ახალი ხუთწლედის დამდეგისთანავე ენერგიულად გამოვლინათ და აემოქმედებინათ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების რეზერვები, ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მათი პროდუქციის ატესტაცია ხარისხის ნიშანზე შეუძლებელია.

სწორია თუ არა ეს? დიახ, რესპუბლიკის ინდუსტრიის მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნები დღენიადაგ მატულობს. ამავე დროს მიმდინარეობს ნაწარმის განახლების პროცესი — ზოგი კონვეიერიდან იხსნება და საწარმოს ართმევს საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის ხვედრითი წილის რაღაც ნაწილს, ზოგს კი ის-ის არის ითვისებს წარმოება. მაგრამ იქ, სადაც გამონახეს შესაძლებლობანი — ისინი კი ყველა საწარმოში არსებობს — გააუმჯობესონ არსებული ნაწარმისა და სიახლეების ხარისხი, დროულად მოახდინონ მათი ატესტაცია ხარისხის ნიშანზე, დღენიადაგ სრულყოფენ პროდუქციას და საქმეც წარმატებით მიდის.

და აქ ხელმძღვანელისათვის მთავარია გამოიჩინოს ინიციატივა.

...წლითიწლობით სულ უფრო უჭირს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის კოლქტივს — ამოღებული მადანი განუწყვეტლივ ღარიბდება.

საწარმოს ხელმძღვანელობამ რჩევა ჰკითხა სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, შეიმუშავა და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, და წარმატებასაც მიაღწია — მეორე კლასის მანგანუმის მადანს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

